საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1480

2016 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების შესახებ

1. „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №240 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირება და სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამოირიცხოს ამ განკარგულების №1 დანართში მითითებული უძრავი ქონებები, ამავე განკარგულების №2 დანართით წარმოდგენილი კოორდინატების შესაბამისად, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით.

2. ამ განკარგულების №1 დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრულ, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წოდორეთში, მშრალი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ტყის ფონდიდან ამოსარიცხ 29 920 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოქცეულ შპს „გნოლზე“ (შემდგომში - ლიცენზიანტი) 2002 წლის 3 დეკემბერს გაცემული №007 ლიცენზიის ფარგლებში არსებული 11 503 კვ.მ ფართობის ტყის ფონდიდან ამორიცხვა განხორციელდეს ლიცენზიანტის მხრიდან შესაბამისი თანხმობის მოპოვებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი